ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის გურამ ოქროპირიძის ანგარიში (საანგარიშგებო პერიოდი: 2021 წლის 3 დეკემბერი - 2022 წლის 31ოქტომბერი)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N26-113 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, საკრებულოს წევრის ვალდებულებაა ამომრჩევლების წინაშე წელიწადში ერთხელ 1 ნოემბრამდე წარადგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დოკუმენტი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გურამ ოქროპირიძის მიერ 2021წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

2021 წლის დეკემბრიდან ჩატარდა ქ.თბილისის საკრებულოს 15 სხდომა, საიდანაც მონაწილეობა მივიღე13სხდომაში, სულ მიღებული იქნა 113 დადგენილება და 649 განკარგულება.

ფრაქციულიმუშაობა

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' ჩატარებული აქვს 23 *(ოცდასამი)* სხდომა, განხილულია 43 *(ორმოცდასამი)* საკითხი.

გურამ ოქროპირიძე *(2021 წლის 3 დეკემბრიდან - 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)* დაესწრო 22 *(ოცდაორ)* სხდომას და მონაწილეობა მიიღო 42 *(ორმოცდაორი)* საკითხის განხილვაში.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

3 დეკმებრიდან დღემდე ჩატარდა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 28 სხდომა, სადაც დავესწარი 22 მათგანს და განვიხილეთ 245 საკითხი.

კომისიის მიერ შესწავლილია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 43 წერილი -„ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ“, რომელიც მხოლოდ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა.

2022 წლის ბიუჯეტი საწყის ეტაპზე შეადგენდა 1 305418,2 ათასი ლარს, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 255 155,7 ათასი ლარით მეტია. წლის განმავლობაში 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 254 448, 4 ლარით და ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით , ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 1 559 866, 6 ათას ლარი.

ბიუჯეტში ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა. განსაზღვრულია 448 328,0 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება- 250 609,2 ათასი ლარი.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება- განსაზღვრულია- 230 026,7 ათასი ლარი.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა -2 353,8 ათასი ლარი.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია 41 308,8 ათასი ლარი.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 153 612,2 ათასი ლარი.

(მ.შ. ჯანმრთელობის დაცვა -26 690,9 ათასი ლარი, სოციალური დაცვა- 126 921,3 ათასი ლარი); განათლების პრიორიტეტი შეადგენს 223 165,2 ათას ლარს, საიდანაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობისათვის გამოყოფილია 187 406,1 ათასი ლარი.

- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტი შეადგენს 63 304,8 ათას ლარს;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება განსაზღვრულია 5 217,8 ათასი ლარით.
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

შევისწავლეთ და თანხმობა მივეცით,

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის “თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ.

2021 წლის დეკემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 287 პროექტი.

საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

ქალაქის მერისა და თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვაგრძელებთ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას იმ მოქალაქეებისათვის

რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ დაკავებულ ფართებში და ამ პერიოდში არ ქონდათ შესაძლებლობა შეეცვალათ საცხოვრებელი პირობები.

დაახლოებით 343-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი, საერთო ჯამში დაახლოებით 16856,58 კვმ).

ასევე კომისიის მიერ შესაწავლილია კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული გადაწყვეტილებები.

მსგავსი პროექტებით საერთო ჯამში დაკმაყოფილდა 341 ოჯახი და გადაეცათ საერთო ჯამში 55 867 კვმ მიწის ნაკვეთი.

სატრანსპორტოსაკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისიის13 სხდომას,განვიხილეთ 51 საკითხი.
რეფორმის ფარგლებში თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტები განსაზღვრა და უპირატესობა მიენიჭა ქვეითებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტს და ეკომეგობრულ ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებებს;

თბილისის ავტოპარკი:

- დღეის მდგომარეობით დედაქალაქის მაცხოვრებლებსა და სტუმრებს **760** ერთეული თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი ემსახურება, და ავტობუსების შემოყვანის პროცესი გრძელდება;
- სრულად ჩანაცვლდა ყვითელი, ამორტიზებული მიკროავტობუსები. ამჟამად, ჯამში, დედაქალაქს ჰყავს **1000** ახალი მიკროავტობუსი. ამასთან, მიკროავტობუსებით მგზავრთა მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე ეტაპობრივად ჩანაცვლდა ზოგიერთი ძველი მარშრუტი, ასევე, დაემატა ახალი მარშრუტები.

- განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოლოდინის დრო პიკის საათებში საშუალოდ 15 წუთია (ნაცვლად, 90 წუთისა). ხოლო ავტობუსების/მიკროავტობუსების ტევადობა 1,5 ჯერ მეტია ადრინდელზე.
- 2022 წლის 1-ლი თებერვლიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტში საბონენტო ულიმიტო სისტემა ამოქმედდა. 5 იანვრიდან მეტროს, ავტობუსების და მიკროვტობუსის მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ სამგზავრო აბონემენტები. 2022 წლის 1-ლი სექტემბრიდან სამგზავრო ბარათის დაკავშირება ნებისმიერ საბანკო ბარათთან არის შესაძლებელი, რაც მეტად კომფორტულს გახდის მგზავრობას. უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის უფლება აქვთ ისეთ პირებს, როგორიცაა საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლები, სტუდენტები, პედაგოგები, პენსიონერები და ა.შ

ტაქსი:

- 2018 წლის 1 ოქტომბრიდან სავალდებულო გახდა ტაქსების რეგისტრაცია. 2022 წლის 7 ოქტომბრის მდგომარეობით ტაქსის 16, 472 აქტიური ნებართვაა გაცემული.

მეტროპოლიტენის რეაბილიტაცია:

- ამჟამად თბილისის მეტროში **23** მოქმედი სადგურია, აქედან **16** განლაგებულია გლდანი-ვარკეთილის, ხოლო, **7** საბურთალოს ხაზზე. ხაზების საერთო სიგრძეა 26,4 კმ-ია. კომპანიის ბალანსზეა **192** ვაგონი. ვაგონებს ემსახურება ორი დეპო, „ნაძალადევი“ და „გლდანი“.განხორციელდა და მიმდინარეობს მეტროს ვაგონების კაპიტალური შეკეთება, ახალი ვაგონების შესყიდვა.
- უახლოეს პერიოდში იგეგმება **,,ახმეტელის თეატრისა“ და ,,ვარკეთილის“ ჩასასვლელებში ახალი, დამატებითი ავტომატური საკონტროლო გამშვები პუნქტების - ე.წ ,,ტურნიკეტების“ მოწყობა, ამჟამად არის 7 გასასვლელი, დაემატება ორი, რაც 30%-ით გაზრდის მგზავრთა გამტარუნარიანობას.**

ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა:

2022 წლის 1-ლი მარტიდან ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა მთაწმინდის, ჩუღურეთის და დიდუბის რაიონებში ამოქმედდა, ხოლო, საბურთალოს რაიონში ზონალურ-საათობრივი პარკირებისთვის დამატებითი **135** ადგილი გამოიყო. ჯამში **გამოიყო 1 838** ადგილი, მათ შორის: 44 ადგილი შშმ პირების პარკირებისთვის, ხოლო ელექტროდამტენით აღჭურვილი 4 ადგილი.2022 წლის 1-ლი ივლისიდან საბურთალოსა და ისნის რაიონებში ამოქმედდა ზონალურ საათობრივი პარკირების სისტემა. ჯამში, მოეწყო ზონალურ-საათობრივი პარკირების 1751 ადგილი, შშმ პირებისათვის - 37 ადგილი, ელექტროდამტენით აღჭურვილი - 4 ადგილი.უფასო ზონალური პარკირების მისაღებად რეგისტრირებულია 5 602 მომხმარებელი.

დაგეგმილი ღონისძიებები:

- ეკო-მეგობრული ტრანსპორტის ხელშეწყობის ფარგლებში იგეგმება **171** კილომეტრიანი ველობილიკის ქსელის მოწყობა, ასევე, 15-17 კმ საგზაო ინფრასტრუქტურული მოპირკეთების სამუშაოები.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ფარგლებში, იგეგმება სამ იერარქიანი სქემის განხორციელება, სადაც იქნება 10 ძირითადი დერეფანი და მისი მკვებავი ლოკალური და საუბნო მარშრუტები. პროექტის ფარგლებში, 10 ძირითად გზასავალზე მოეწყობა საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის გამოყოფილი ზოლები (ამჟამად მოწყობილია **3 408** კილომეტრიანი მონაკვეთი).
- დახაზვითი სამუშაოები ხორციელდება/იგეგმება: ქეთევან დედოფლის გამზირზე, თამარ მეფის გამზირზე, თამარშვილის, ჯავახეთის და მირიან მეფის ქუჩებზე.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისია

მიმართულება მოიცავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრის უფლებამოსილების შესრულებას. საანგარიშგებო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 70 სხდომა, საიდანაც დავესწარი 52-ს.

ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭო

2022 წლის ივნისში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (NALAG) წარმადგინა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოში (CEMR) ახალგაზრდული კომიტეტის წევრად.

26-27 სექტემბერს მონაწილეობა მივიღე CEMR ეგიდით გამართულ ღონისძიებაში ბრიუსელში. მივლინების პერიოდში ორ სესიაზე ვისაუბრე ასოცირებული ტრიოს გამოწვევებზე, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობაზე, დაგეგმილ და მიმდინარე რეფორმებზე, ოკუპაციის შედეგებზე საქართველოსა და რეგიონზე, ადგილობრივი თვითმმართველობების გამოწვევებზე, ასევე უკრაინიდან თბილისსა და სხვა მუნიციპალიტეტებში ლტოლვილთა ხელშეწყობის პროგრამებზე. დელეგაციასთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს სამოქმედო გეგმის სამუშაო შეხვედრასა და გენდერეული თანასწორობის შესახებ მომზადებულ ვორქშოფში. ასევე შევხვდით ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებს.

გენდერული თანასწორობის საბჭო

მიმდინარე წლის თებერვლიდან ვარ გენდერული საბჭოს წევრი და მდივანი, საანგარიშგებო პერიოდში მონაწილეობა მივიღე სამოქმედო გეგმის განხილვაში, სხდომებსა და ღონისძიებებში.